



ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

თავი 3

თავი 3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა

თავის შესრულების პროგრესი: 70% (აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას)

ძირითადი მიგნებები

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მესამე თავი თითქმის მთლიანად შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გატარებულ რეფორმებს და ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის თვალსაზრისით გატარებულ ღონისძიებებს. თავის მიზნები მოიცავს დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა უფლებების, საყოფაცხოვრებო, ჰიგიენური და კვებითი პირობების გაუმჯობესებას, იძულების ღონისძიებების ადეკვატური გამოყენებისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფას, გადაცდომებზე რეაგირების სისტემის დახვეწასა და სამართალდამცავ სისტემაში ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

ერთობლიობაში დადებითად შეიძლება შეფასდეს ის ძალისხმევა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაწია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა, რომლებიც სამართალდამცავ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს აუმჯობესებს.

საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა - გარემონტდა იზოლატორების შენობები, მოეწყო სამედიცინო პუნქტები. ამასთან, ზოგიერთი იზოლატორი კვლავ არ აკმაყოფილებს სტანდარტებს - საპირფარეშოები არ არის იზოლირებული, ზოგიერთ იზოლატორს არ აქვს სასეირნო ეზო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომავალში დაგეგმილია სარემონტო სამუშაოების ჩატარება ყველა იზოლატორში, ვიმედოვნებთ, მათ ფარგლებში მოხერხდება არსებული პრობლემების მოგვარება და ყველა იზოლატორის საყოფაცხოვრებო-ჰიგიენური პირობები საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი იქნება.

ასევე მისასალმებელია, რომ ყველა დროებით მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამასთან, დაგეგმილია ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტება, რაც შესაბამისი პროფესიული მომზადების პირობებში დადებითად აისახება როგორც სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, ისე მის ხარისხზეც. დაზიანებების დოკუმენტირების თვალსაზრისით პრობლემები კვლავ რჩება, რომელთა აღმოსაფხვრელად აუცილებელია დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა და ამ უკანასკნელთა რეგულარული ინტენსიური გადამზადება სტამბოლის პროტოკოლით გათვალისწინებულ მეთოდოლოგიაში.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კვლავ მოუგვარებელია დროებით მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა, თუმცა, სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის ბოლომდე ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებაც იგეგმება - მშრალი ულუფების ნაცვლად ზოგიერთ იზოლატორში მოთავსებული პირები უზრუნველყოფილი იქნებიან საქვაბე კვებით.

საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა სამხრე ვიდუოკამერით მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების წესი, თუმცა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, პატრული პოლიციელებისთვის, მოქალაქესთან ურთიერთობისას, ვიდუოჩანანერის განხორციელება სავალდებულო არ გამხდარა. აღნიშნული ცვლილება კი მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების, ისე პოლიციელთათვის სათანადო გარანტიების შექმნის თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში არაერთი პოლიციის განყოფილება იქნა ეკიპირებული ვიდეოკამერებით; შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. სამწუხაროა, რომ ვიდეოკამერებით ეკიპირების პარალელურად, დღემდე არ მომხდარა მათი ფუნქციონირების წესის განსაზღვრა, თუმცა, სამინისტროს ინფორმაციით, ნორმატიულ აქტში შესაბამისი ცვლილებების პროექტი უკვე მომზადებულია.

მისასალმებელია, რომ პოლიციის აკადემიის სასწავლო კურსი მოიცავს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპების, ისევე, როგორც ძალის გამოყენების მეთოდების სავალდებულო სწავლებას. ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებისა და ძალის გადამეტების პრევენციის თვალსაზრისით, ასევე სასურველია მოქმედი პოლიციელების რეგულარული და სავალდებულო გადამზადება იმავე თემატიკაზე.

საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი გადაცდომების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმის დასახვეწად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოგვანოდა საკმაოდ შთამბეჭდავი სტატისტიკა განხილული საჩივრების, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი გადაცდომებისა და დაკისრებული დისციპლინური სასჯელების თვალსაზრისით. ამჟამად მიმდინარეობს გენერალური ინსპექციის რეფორმა, რომელიც, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, საგრძნობლად გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას.

მიზანი 3.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება

მიზნის შესრულების პროგრესი: 70%

ამოცანა 3.1.1. დროებით მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

შეფასება:

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა, რომლებიც დადებითად აისახა როგორც სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობაზე, ისე სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წლის მანძილზე, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში, სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, საჩივარი არ შემოსულა.

როგორც ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი თავის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნავს, “სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სამედიცინო შემოწმება, რომელიც დაზიანებების აღწერასაც მოიცავს, სისტემატიურად ტარდება [პირის] დმი-ში მოთავსებისთანავე, დმი-ს მედპერსონალის ან სასწრაფოს ექიმების მიერ.”^[1] კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს ტრენინგების მნიშვნელობას, რომლებიც დროებითი

მოთავსების იზოლატორის ექიმებმა გაიარეს სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტირებაში და ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფს თბილისისა და რუსთავის დმი-ების სამედიცინო პერსონალის მიერ გაკეთებული ჩანაწერების მაღალ ხარისხს.^[1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში კვლავ საუბარია არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების მხრივ არსებულ მთელ რიგ პრობლემებზე: “სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ იზოლატორებში დასაქმებული ექიმების მიერ დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების სამედიცინო შემოწმების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს „სტამბოლის პროტოკოლის“ თანახმად სამედიცინო შემოწმების ერთ-ერთი მთავარი მიზნის მიღწევას - ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტის აღბათობის შეფასებას.”^[2]

“ასევე, წინა წლების მსგავსად, კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობს იზოლატორში დასაქმებული ექიმების მიერ დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება. კერძოდ, ჩატარებული სამედიცინო შემოწმების საფუძველზე შევსებულ ფორმაში (დამტკიცებული შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით, „სტამბოლის პროტოკოლის“ თანახმად), მიუხედავად სხეულზე არსებული დაზიანებებისა, რიგ შემთხვევებში არ ხდება შესაძლო ძალადობის შეფასება - ცარიელია შესაბამისი გრაფები; არის შემთხვევებიც, როდესაც დაზიანებების მიყენების მეთოდების შესახებ ჩანაწერის არარსებობის პირობებში, ექიმი მაინც მიუთითებს შესაბამისობაზე დაზიანებასა და მისი მიყენების მეთოდს შორის და ა.შ.”^[4]

[1] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 24

[2] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 24

[3] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 76

[4] Ibid., გვ. 77

აქტივობა 3.1.1.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მომსახურებით

<p>პასუხისმგებელი უწყება:</p> <ul style="list-style-type: none">• შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ჩვენს წერილობით მიმართვაზე,^[1] რა სახის ღონისძიებები გატარდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურებაზე წვდომისა და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მივიღეთ პასუხი, რომლის მიხედვით, “2018 წლის დასაწყისში სამედიცინო პუნქტები მოქმედებდა მხოლოდ 7 რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო დანარჩენ 22 იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად ხდებოდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება. ამავე წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობის გაზრდას, სადაც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს. 2018 წლის თებერვლიდან დაიწყო ექიმების მოძიების პროცესი. (...) სამედიცინო პუნქტები 2018 წლის ოქტომბრის თვეში გაიხსნა მცხეთის, ფოთისა და საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ხოლო ნოემბრის თვეში ყვარლისა და ზესტაფონის იზოლატორებში. დეკემბრის თვეში სამედიცინო პუნქტები ასევე ამოქმედდა ახალციხის, ჩხორონწყუს და ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. სამედიცინო პუნქტების მოწყობა და გახსნა გრძელდება სხვა იზოლატორებშიც. შესაბამისად დღეის მდგომარეობით დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული 29 მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს 15 იზოლატორში.”^[2]

აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშითაც.^[3]

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) 2018 წლის ანგარიშშიც დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამასთან, კომიტეტი მოუწოდებს მთავრობას, უზრუნველყოს ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმებითა და ექთნებით დაკომპლექტება, ვინაიდან, კომიტეტის დაკვირვებით, დაზიანებების აღწერას დმი-ებში დასაქმებული მედპერსონალი ბევრად უფრო დეტალურად ახორციელებს, ვიდრე გამოძახებული ექიმები.^[4]

[1] 2019 წლის 12 ივნისის წერილი N01-06/19

[2] 2019 წლის 9 ივლისის წერილი MIA 8 19 01790150

[3] შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ანგარიშის მომზადების პერიოდში სამედიცინო პუნქტი მოეწყო დამატებით 4 იზოლატორში.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 68

[5] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 24

აქტივობა 3.1.1.2. დროებითი მოთავსების იზოლაციაში მყოფი პირების მიერ საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, “2018 წლის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მოთხოვნით, დროებითი მოთავსების იზოლაციაში შესახლებულ არცერთ პირს, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის არ მიუმართავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ პერიოდზე მითითებული სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება.”^[5]

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციაში ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციაში შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “მოთავსებულ პირს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს, იზოლაციაში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, ასევე აღნიშნული შემოწმების ჩატარების მიზნით საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი.”

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციაში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის თანახმად, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში

მოთავსებულ პირს უფლება აქვს, იზოლატორის უფროსის ნებართვით, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი.

[1] [2019 წლის 4 სექტემბრის წერილი MIA 1 19 02342906](#)

აქტივობა 3.1.1.3. სამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ივნისი-სექტემბრის პერიოდში, 3 ეტაპად, გადამზადდა დასასაქმებელი სამედიცინო პერსონალი - 46 ექიმი.

უწყების ინფორმაციით, გარდა დასასაქმებელი ექიმებისა, 2018 წლის გაზაფხულზე გადამზადება გაიარა მოქმედმა სამედიცინო პერსონალმაც: ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე და ასევე იზოლატორში მოთავსებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირების მიმართულებით 2018 წლის აპრილში გადამზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი ორ ჯგუფად (25 ექიმი).

აქტივობა 3.1.1.4. არასამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2018 წლის მარტის თვეში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში განახლდა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი. 2018 წლის განმავლობაში სასწავლო კურსზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მივლენილ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორების ყველა ის თანამშრომელი, რომელთაც გადამზადება არ ჰქონდათ გავლილი (ჯამში 10 ჯგუფი, 200 თანამშრომელი).

ამოცანა 3.1.2. დაკავებულ/პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 40%

შეფასება:

მისასალმებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევა დროებითი მოთავსების იზოლატორების საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, რიგ დროებით მოთავსების იზოლატორებში საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს სახალხო დამცველი, ისე ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი მიუთითებენ მთელ რიგ პრობლემებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთ დმი-ში.

ნიშანდობლივია, რომ მონიტორინგის ორივე ორგანო ხაზგასმით აღნიშნავს დროებითი მოთავსების იზოლატორების საყოფაცხოვრებო პირობების შეუთავსებლობაზე ადმინისტრაციულ პატიმრობასთან.

რაც შეეხება დმი-ების მიერ მიწოდებული საკვების ხარისხს, ამ მხრივ საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორც გასულ წლებში, პროგრესი არ აღნიშნება. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა იზოლატორებში მოთავსებულ პირთათვის განკუთვნილი მშრალი საკვები ულუფების ცვლილებასთან დაკავშირებით. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში კვების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგვარდება.

აქტივობა 3.1.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დროებითი მოთავსების იზოლატორების

გამართული ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური და სხვა მატერიალური პირობები

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით:

“2018 წლის გაზაფხულზე სარემონტო სამუშაოები განხორციელდა 3 დროებითი მოთავსების იზოლატორში (ჩხოროწყუს, წალკისა და ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორებში). ხოლო 10 დროებითი მოთავსების იზოლატორში მოეწყო სამედიცინო ოთახი. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ასევე მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დამატებით გაიზარდა იზოლატორში არსებული საკნების რაოდენობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში (რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ), 2018 წლის სექტემბერში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქვემო ქართლის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ.რუსთავი) მოწყობილი იქნა არასრულწლოვნებზე მორგებული საკანი და საგამოძიებო ოთახი.

ამავდროულად, 2018 წლის დეკემბერში სარემონტო სამუშაოები დაიწყო ფოთის, ქობულეთისა და სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ფოთისა და სამტრედიის იზოლატორებში სარემონტო სამუშაოები 2019 წლის თებერვალში დასრულდა. სამუშაოების ფარგლებში ასევე მოეწყო სამედიცინო ოთახები.

2018 წელს დაიწყო ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორების მშენებლობა ქ.თბილისში და ბაკურიანში, ასევე ქ.თბილისში ადმინისტრაციული პატიმრებისათვის განკუთვნილი დაწესებულების მშენებლობა. აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები 2019 წლის მიწურულს დასრულდება.”

საქართველოს სახალხო დამცველი, თავის 2018 წლის ანგარიშში, მიესალმება დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს, თუმცა აღნიშნავს, რომ რიგ იზოლატორებში კვლავ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო საცხოვრებელი პირობები:

“რიგი იზოლატორები არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციითა და განათებით; არადაამაკმაყოფილებელია სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა; იზოლატორის საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძი. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ორ და მეტ ადგილიან საკნებში, სადაც შესახლებულ პირს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა პირის/პირთა თანდასწრებით უწევს“.

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტიც, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია 72 საათიანი მოთავსებისთვის, საკნები გარემონტებული და სუფთაა, ადაკვატურადაა განათებული და ხდება ვენტილაცია, დაკავებულ პირებს მიეწოდებათ ლეიბი და საბანი. ამასთან, კომიტეტის შეფასებით, გარკვეული ხარვეზები კვლავ აღმოუფხვრელია: ყველა იზოლატორში არ არის უზრუნველყოფილი თითოეულ პირზე 4 კვ.მ სივრცე, საკანში არსებული ტუალეტები, როგორც წესი, მხოლოდ ნაწილობრივია იზოლირებული; სისხლის სამართლის წესით დაკავებულებს კვლავ არ აქვთ შხაპის მიღების უფლება და არც რაიმე სახის აქტივობებზე წვდომა. დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორს საერთოდ არ გააჩნია სასეირნო ეზო.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში თითოეულ პირზე უზრუნველყოფილ სივრცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანების “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ მოთავსებულ პირზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა იზოლატორში არ უნდა იყოს 4 კვ.მ.-ზე ნაკლები. წამების პრევენციის კომიტეტის შეფასება, საკმარისი სივრცის არარსებობის თაობაზე, ეყრდნობა საკნებში საწოლების რაოდენობის შეფარდებას საცხოვრებელ ფართთან. უწყების ინფორმაციით, 4 კვ.მ. ფართობის დაცვა მკაცრად ხდება, ხოლო საკნებში საწოლების ჭარბი რაოდენობა გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისთვის, როდესაც დაკავებულების რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი გადაყვანა სხვა უახლოეს იზოლატორში.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.84

[2] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 28

აქტივობა 3.1.2.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვებითი პირობების უზრუნველყოფა

- პასუხისმგებელი უწყება:**
- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირისათვის მისაწოდებელი საკვების ულუფები დადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 5 მაისის №457 ბრძანებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით, გარდა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორისა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა იზოლატორში დაკავებულებს მიეწოდებათ მზა მშრალი საკვები ულუფები, ხოლო თბილისის იზოლატორში საკვების მიწოდება ხდება ადგილობრივი სასაფლაოდან.

იმავე წყაროს თანახმად, “დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა იზოლატორებში მოთავსებულ პირთათვის განკუთვნილი მშრალი საკვები ულუფების ცვლილებასთან დაკავშირებით - კვების პირობების გაუმჯობესების მიზნით, მშრალი ულუფების ნაცვლად იგეგმება იზოლატორში მოთავსებული პირების საქვაბე კვებით უზრუნველყოფა. განსაზღვრულია, რომ 2019 წლის ბოლომდე, საქვაბე კვების შემოღება, მინიმუმ ოთხ იზოლატორში უნდა მოხდეს. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული იქნება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები.”^[1]

[1] 2019 წლის 4 სექტემბრის წერილი MIA 1 19 02342906

მიზანი 3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა

მიზნის შესრულების პროგრესი: 70%

ამოცანა 3.2.1. იძულების ღონისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 45%

დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას აქვს საგამონაკლისო ხასიათი და პროპორციულობის პრინციპი დაცულია;

შეფასება:

ძალის გადამეტების პრევენციისთვის სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სამხრე ვიდეოკამერების შესაბამისი გამოყენების, ასევე, პოლიციელთა ცნობიერებისა და პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში გარკვეული ღონისძიებები ორივე მიმართულებით განხორციელდა, თუმცა სამხრე ვიდეოკამერების გამოყენება მოქალაქესთან ურთიერთობისას კვლავ პოლიციელის ნებაზეა დამოკიდებული, რაც დასახული ამოცანის მიღწევას არ უზრუნველყოფს. რაც შეეხება გადამზადებულ პოლიციელთა რაოდენობას, იგი ამ ეტაპზე სრულად ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანის შესრულებას.

აქტივობა 3.2.1.1. სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების წესის შემუშავება და დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 40%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

2013 წლის 5 ივლისის ცვლილებით,^[1] "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების მე-12 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა "ზ" ქვეპუნქტი, რომლითაც პატრულ-პოლიციელის აღჭურვილობას დაემატა სამხრე ვიდეოკამერა. იმავე ცვლილებით, პატრულ-პოლიციელს უფლება აქვს, "საზოგადოებრივი წესრიგის, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ვიდეო-აუდიო ჩაწერა [...]".^[2]

როგორც სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშშიც ნათქვამია, "სახალხო დამცველი წლებია, რეკომენდაციით მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პოლიციელთა მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები."^[3] ვინაიდან "პოლიციელთა სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვა და მოქალაქეებთან პოლიციის ურთიერთობისას ვიდეოჩაწერების წარმოება არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა."^[4]

2018 წლის 26 დეკემბერს შსს მინისტრის N1310 ბრძანებაში შესული ცვლილებებით დამტკიცდა სამხრე ვიდეოკამერით მოპოვებული მონაცემების შენახვისა და დამუშავების წესი. შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით: "სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად ფორმის ტანსაცმელზე განთავსებული ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ჩანაწერების შენახვისა და გამოყენების პროცედურების დამტკიცების თაობაზე შემუშავდა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების ცვლილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 დეკემბრის №139 ბრძანებით. ბრძანებით განისაზღვრა, რომ პატრულ-ინსპექტორის მიერ ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება სპეციალურ სერვერზე. სპეციალურ სერვერზე ინფორმაციის განთავსება ხდება სამხრე ვიდეოკამერაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორის მიერ. აღნიშნული მონაცემები ინახება 30 დღის ვადით. სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად."

26 დეკემბრის ცვლილებებმა სამხრე ვიდეოკამერების გამოყენების მხოლოდ ერთი (უდავოდ მნიშვნელოვანი) ასპექტი მოაგვარა, რომელსაც ვიდეოგადაღების შედეგად მოპოვებული მონაცემების სათანადოდ შენახვა და გამოყენება წარმოადგენს, თუმცა კვლავ ღიად რჩება საკითხი, რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს პატრულ-პოლიციელმა და რა შემთხვევებში უნდა აწარმოოს ვიდეოგადაღება სამხრე ვიდეოკამერით. ამ მხრივ უმჯობესი იქნებოდა, უწყებას სრულად გაეზიარებინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და მოქალაქესთან ურთიერთობისას სავალდებულოდ განესაზღვრა ვიდეოგადაღების წარმოება. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი იქნება როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების, ისე პოლიციელთა არაკეთილსინდისიერი ბრალდებებისგან დაცვის საკითხებში.

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება No509 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების ""საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი

[3] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 24

[4] Ibid.

აქტივობა 3.2.1.2. პოლიციელთა განგრძობადი განათლება ადამიანის უფლებებზე და იძულებითი ღონისძიებების სტანდარტებთან და გამოყენების ტექნიკასთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები;

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით:

“სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში - აკადემია) მუდმივად ახორციელებს შსს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით. ზემოაღნიშნული საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების აკრძალვა;
- თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება;
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება;
- თავისუფალი მიმოსვლის უფლება;
- საკუთრების უფლება.

აკადემიაში ძალის გამოყენების მეთოდები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში/კურსებში იფარება რამდენიმე საგნის ფარგლებში, მათ შორის, თეორიული ნაწილი იფარება ადამიანის უფლებების, პოლიციის შესახებ კანონისა და ტაქტიკური მომზადების სწავლებისას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ტაქტიკური მომზადებისა და ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთების საგნის სწავლებისას.

2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოხსენებული თემატიკით მომზადდა/გადამზადდა:

1. პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 63 მსმენელი;

2. სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 6 ჯგუფი, 90 მსმენელი;
3. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა - 7 ჯგუფი, 123 მსმენელი;
4. უბნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 65 მსმენელი;
5. მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 73 მსმენელი;
6. დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 75 მსმენელი;
7. პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 10 ჯგუფი, 176 მსმენელი;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი - 4 ჯგუფი, 66 მსმენელი;
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 3 ჯგუფი, 55 მსმენელი;
10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსის სასწავლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 68 მსმენელი;
11. სსიპ დაცვის პოლიციის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი - 12 ჯგუფი, 222 მსმენელი;
12. ადამიანის უფლებები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია მოზარდებში - 1 ჯგუფი, 20 მსმენელი;
13. ტრენერთა ტრენინგი 112-ის ინციდენტების სამართლებრივ შეფასებაში - 1 ჯგუფი, 6 მსმენელი;
14. შსს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი - 1 ჯგუფი, 11 მსმენელი;
15. ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი) - 12 ჯგუფი, 201 მსმენელი;
16. დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - 8 ჯგუფი, 119 მსმენელი.”

ამოცანა 3.2.2. პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

შეფასება:

დღევანდელი მდგომარეობით, პოლიციის ყველა შენობაზე დამონტაჟებულია სათვალთვალო ვიდეოკამერები, თუმცა ამ დრომდე არ განსაზღვრულა მათი ფუნქციონირების წესი.

აქტივობა 3.2.2.1. პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება და ფუნქციონირების წესის განსაზღვრა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები/ დამონტაჟებული კამერების რაოდენობა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან გვაცნობეს, "2018 წელს განხორციელდა ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტებისა და მათი სტრუქტურული დანაყოფების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განახლება, ხოლო 2019 წლის პირველ კვარტალში დასრულდა სხვა დარჩენილი პოლიციის დეპარტამენტებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განახლება და სტანდარტიზაცია."

რაც შეეხება სათვალთვალო კამერების ფუნქციონირების წესის განსაზღვრას, აღნიშნული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა. შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით, "სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით მომზადდა სამინისტრო ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადის განსაზღვრის შესახებ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებაში განსაზღვრული ცვლილების პროექტი."

ამოცანა 3.2.3. სამართალდამცავ ორგანოებში გადაცდომებზე ეფექტიანი რეაგირება და აღმოფხვრა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 85%

შეფასება:

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკა, რომელიც უწყების გენინსპექციის მიერ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებებს ასახავს, საკმაოდ შთამბეჭდავია.

ამასთან, დისციპლინური წარმოებების ნახევარზე მეტი თავად გენინსპექციის ინიციატივით იქნა დაწყებული. ამასთან, საანგარიშო პერიოდში რეფორმირდა სამინისტროს გენინსპექციის სტრუქტურაც.

აქტივობა 3.2.3.1. სამართალდამცავების მიერ ჩადენილი გადაცდომების პროაქტიული გამოვლენა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე შესულ განცხადებათა და რეაგირების ურთიერთმიმართება

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით:

“2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაიწყო 13842 დისციპლინური წარმოება, მათგან 7852 სამართალწარმოების საფუძველს წარმოადგენდა მოქალაქეთა საჩივარ - განცხადება.

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული დისციპლინური წარმოების საფუძველზე დაკისრებული იქნა 1550 დისციპლინური სახდელი, კერძოდ:

სამსახურიდან დათხოვნა - 151

თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 8

სასტიკი საყვედური - 384

საყვედური - 342

შენიშვნა - 665

382 შემთხვევაში გაიცა სარეკომენდაციო ბარათი.”

იმავე წყაროს თანახმად, “გენერალური ინსპექციის მიერ 2018 წელს განხორციელდა სამინისტროს დანაყოფების გეგმიური და პრევენციული ინსპექტირებები. ასევე, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად 2018 წელს დაკისრებული იქნა 1714 დისციპლინური და სამხედრო სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული სახდელი. ხოლო 374 შემთხვევაში, შედარებით უფრო მსუბუქი გადაცდომის გამო, გაიცა სარეკომენდაციო ბარათი.”

აქტივობა 3.2.3.2. სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე შესულ განცხადებათა და რეაგირების ურთიერთმიმართება

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

რაც შეეხება შიდაუწყებრივი კონტროლის მექანიზმებს, შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამომძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ცნობით:

“2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში, გენერალურ ინსპექციაშიც გატარდა რეფორმა. გენერალურ ინსპექციაში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმის შედეგად:

- შემცირდა ბიუროკრატიული ბარიერები, ნათლად გაიმიჯნა სამმართველოებს შორის კომპეტენცია. შეიქმნა სამმართველო რომელიც განიხილავს მოქალაქეთა საჩივარ/განცხადებებს და ატარებს სამსახურებრივ შემოწმებებს სამინისტროს ყველა დანაყოფის დისციპლინური დარღვევის ფაქტებზე. ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ დავალებათა, ობიექტების დაცვის, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტებისა და სხვა სპეციალური ქვედანაყოფების შემოწმების სამმართველოდ. აღნიშნული სამმართველო ახორციელებს შს სამინისტროს გასამხედროებული ტიპის დანაყოფების ინსპექტირებებს, სამართლებრივი ჩარჩოს და გეგმების ანალიზს, მზადყოფნის, მომზადების დონის და დისციპლინის მონიტორინგს, შეიქმნა დამატებითი დანაყოფი დასავლეთ საქართველოში). ცვლილებების შედეგად, უფრო ეფექტური და მოქნილი გახდა გენერალური ინსპექციის მუშაობა და გადაცდომებზე რეაგირება.

ასევე გატარდა ღონისძიებები გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესასწავლად.

- 2018 წლის 19-22 ივნისს ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა გენერალური ინსპექციის სასწავლო ვიზიტი ლიტვის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები შეხვდნენ ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექტორს, ასევე, ეროვნული პოლიციის, სასაზღვრო პოლიციისა და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დანაყოფის მონიტორინგის სამსახურების („Immunity Board“) ხელმძღვანელებს. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს პოლიციის საქმიანობაზე ზედამხედველობის არსებული პრაქტიკა, დისციპლინური წარმოების პროცედურები, არსებული გამოწვევები,

სამართლებრივი ჩარჩო და მომავალი ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები. განხილულ იქნა ასევე საზოგადოების ნდობის მნიშვნელობა პოლიციის საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების წარმატებული საქმიანობისთვის და სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობის ლიტერული პრაქტიკა.

2018 წლის 24 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი საერთაშორისო ორგანიზაცია - „შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის უწყვეტ ცენტრის“ ექსპერტების მიერ. ღონისძიება განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის „თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო საბჭოს“ მხარდაჭერით დახმარებით. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს - პოლიციის საქმიანობაზე ზედამხედველობის პრინციპები, პოლიციის საქმიანობის მონიტორინგის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება. განხილული იქნა ასევე არსებული რეალობა და გამოწვევები.”

ამოცანა 3.2.4. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის გაძლიერება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

შეფასება:

უდაოდ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შსს-მ მოახერხა ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის სახით. დადებითად უნდა აღინიშნოს სამომავლო გეგმები, რომელიც სამინისტრომ ჩვენი წერილის პასუხად მოგვწერა. კერძოდ, ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგის შედეგად ხარვეზების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. ასეთი მიდგომა მკვეთრად გააუმჯობესებს გამოძიების ხარისხს და გაზრდის საზოგადოების ნდობას საგამოძიებო ორგანოების მიმმართ.

აქტივობა 3.2.4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს. დეპარტამენტი ასევე, უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიმართულებით ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთანავე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, ასევე მისი პერიოდული განახლება საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.